## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N14

2025 წლის 06 თებერვალი
ქ. ამბროლაური

### ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 თებერვლის N17 განკარგულება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქუჩა N13.)
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:** **ასლან საგანელიძე**

*დანართი*

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის პრივატიზების გეგმა**

| N | საპრივატიზებოდ გათვალისწინებული უძრავი ან მოძრავი ქონების დასახელება | ქონების ადგილმდებარეობა | ქონების მოცულობა, მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ | ქონების საწყისი საბაზრო ღირებულება (ლ) | აუქციონის ფორმა უპირობო - პირობიანი | აუქციონის შემდგომ შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან და პერიოდულობის შესახებ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. | ქ. ამბროლაური მახალდიანის ქუჩაზე | 224 | 49 300 | ელექტრონული პირობიანი | აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში |
| 2 | არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. | ქ. ამბროლაური მახალდიანის ქუჩა | 40 | 6 000 | ელექტრონული პირობიანი | აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში |
| 3 | არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. | ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ | 28 | 3 400 | ელექტრონული პირობიანი | აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში |
| 4 | არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. | ქ. ამბროლაური გამსახურდიას ქუჩა N21ა | 64 | 7 700 | ელექტრონული პირობიანი | აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში |
| 5 | არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული (ყოფილი სანავთის) შენობა | სოფ. ნიკორწმინდა | 20 | 5 700 | ელექტრონული პირობიანი | აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში |
| 6 | ექსპლუატაციაში ნამყოფი (მეორადი) კონდენციონერები | ქ. ამბროლაური ბრატისლავა-რაჭის ქუჩა N11-ში | 37 ცალი | 22 604 | ელექტრონული პირობიანი | აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ნიკორწმინდა (შაორის ტბის მიმდებარედ) | 2 748 | 206 000 | ელექტრონული პირობიანი | აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში |
| 8 | არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარედ | 711 | 17 800 | ელექტრონული პირობიანი | აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში |